**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ი. მუხრანსკის სახლებ-[illegible] ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ვერხდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე [illegible] ადრეს: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**

ერთის წლისა . . . 9 მან. || სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. || ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, სტრიქონზე 1 კაპ., ასომთავრულით სტრიქონზე ნახევარი კაპ., წვრილებრივის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.

თუ ხელნაწერი მოითხოვს [illegible] და შესწორებას [illegible] რედაქცია [illegible] კაპიკს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

სასულიერო სემინარია ქუთაისის გუბერნიაში დასა ხანში საყოველთაოდ აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები ხსენებულ სემინარიაში დაიწყება 23 ამა აგვისტოს თვიდამ 1882 წლისა.

---

თავადი მეგრელიისა ნიკოლოზ, და თავადი დადიანი მეგრელიის, ანდრია, გურიელის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა თვისთა, და ნაცნობთა გარდაცვალებასა საყვარელისა დედისა მათისა მთავრინა მენგრელიისა უგანათლებულესის კნეინა ეკატერინა ალექსანდრეს ასულისა, მიიცვალა 13-სა რიცხვსა ამა აგვისტოს თვისასა; დასაფლავება გვამისა განსვენებულისა დანიშნულ არს მარტვილის სობოროში 21-ს რიცხვსა ამა აგვისტოს თვისასა.

---

# ტელეგრამმა

(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღი, 14 აგვისტოს.** „მმართებლობის მოამბეში" გამოცხადებულია, რომ გრაფს შავლე ანდრიას-ძე შუვალოვის, ვარანცოვების მაიორატის მემკვიდრეს, უმაღლესად ებოძა ნება იწოდებოდეს უგანათლებულეს თავად ვორონცოვად გრაფ შუვალოვად.

12-ს აგვისტოს დამტკიცდა ტეხნიკური საზოგადოების წესები, რომელიც მოსკოვში იქნება აგვისტოს დამლევს ან ენკენის თვის დამდეგს.

„მოსკოვის გაზეთში" სწერია, რომ გაზ. „რუსკი კურიერის" თანამშრომელს, რომელიც კუკუევის უბედურებაზედ სწერდა, დაეცნენ თავზედ ორი კაცი და ისეთ ნაირად დაჰკრეს თავში, რომ კარტუზი (ქუდი) ჩაუხიესო.—ექიმმა როტმა, რა დაინახა ქალების საექიმო კურსების სარგებლობა, შეადგინა ამათზედ წერილები გერმანიის იმპერატრიცის მისართმევად.

პეტერბურღის დუმამ აცნობა სამხედრო სამინისტროს, რომ ქალების საექიმო კურსებზედ მიღების მოსპობა ეწინააღმდეგება ქალაქისაგან გაცხადებულ თანხმობას სამინისტროისას, დარჩეს ერთის წლით იმავ მდგომარეობაში კურსები, სანამ საავადმყოფოები სრულიად გარდავიდოდნენ ქალაქის ხელში.

„რუსის ინვალიდის" სიტყვით უმთავრეს შტაბში მოწვეული დენ-მაიორი ნაგლოვსკი დაინიშნა ადესის სამხედრო შტაბის უფროსად.

**ლონდონი, 14 აგვისტოს,** ცნობა, თელელქამირის ადებაზედ, მოგონილია.

**პეტერბურღ, 15 აგვისტოს.** ნიკოლაევის რკინის გზის მატარებელი გადასცდა რელსებს; ცხრა კაცი დაშავებულია.

ამბობენ რომ ბეჭვდის წესდების თაობაზედ ხსდებათა დამატებებში შემდეგი მუხლი იქნება—მინისტრს ნება ექნება მესამე გაფრთხილების შემდეგ არ ისპოს რომელიმე გაზეთის გამოცემა, არამედ გალდებულ იყოს გამომცემელნი რომ 11 საათზე, ღამით, დაბეჭვდის წინ წარადგინონ თავიანთი გამოცემა ცენზორთა კომიტეტში.

არსდება უმაღლესი კამისსია, შემდგარი შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრთაგან და უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორისაგან, რომელიც განიხილავს ჟურნალ-გაზეთების გამოცემის მოსპობაზე საქმეებს. ამ ჟამამდის ამ საქმეებს იხილავდა სენატი.

---

## სამშობლო ისტორიის შესწავლაზე

(პედაგოგიური შენიშვნა)

კედელ-კედელ იარეო, ოდესმე კი გაიარო.
ქართული ანდაზა

დიდი ხანი არ არის, რაც ერთმა [illegible]ირმა რენანმა გამოსცა თხზულება სახელდობრ „ცხოვრება იესო ქრისტესი". ეს მოხდა ჩვენ მახსოვრობაში. რენანის ნაწარმოები არღვევს სახარებრივ ჭეშმარიტებას, მაცხოვრის ღვთაებრივ ბუნებას. ამ წიგნს უნდა აელშფოთებია მთელი საქრისტიანო ქვეყანა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, არც არავინ აუღშფოთებია და არც არავინ გაუკვირვებია. პარიჟში მხოლოდ ერთმა მართლ-მადიდებელის მღვდელმა გასცა პასუხი, გამოვიდა ერთი-ორი წინაამღდეგი წერილებიც კათოლიკე მღვდლებისაგან, წარმოითქვა ორიოდე ქადაგებაც და ვატიკანმა ჩვეულებრივად წარმოსთქვა, როგორც წიგნზედ, ეგრეთვე ავტორზედ ანაფემა. საქმე ამით გათავდა.

განსაკუთრებით ყველას უკვირა დასავლეთის სამღვდელოთა სიჩუმე და გულ-გრილობა ამ გვარ აღმაშფოთებელ მოვლინებაზედ.

—რა საჭიროა ყვირილიო, სთქვა ერთმა კათოლიკეთა ვიკარმა, როცა თვით ისტორია იხსნის ქრისტეს სარწმუნოებას განხრწნილობისაგანაო.

დასავლეთის ევროპის სამრევლო სკოლებში, მონასტრების სკოლებში, სასულიერო კოლეგიებში პირველი ადგილი უჭირავს სამღვთო და საეკკლესიო ისტორიას: იმ მიზნით, რომ ეს ისტორია გააცნობს-რა მოწაფესა ერთის მხრით თვით იესო ქრისტეს სწავლას და მეორეს მხრით დაინახავს-რა იმ საშინელ თავ-განწირულებას, რომელიც ქრისტეს სარ-

---



## სიყმაწვილის სახსოვარი *)

(ნამდვილი გადმოცემა)

ცოტა შეისვენა, წყალი ჩაყლაპა და განაგრძო კატომ:

—ორი დღე თავისუფლად ვიარეთ. მესამე დღეს კი ხიფათი არ აგვცდა: ნაცნობებს ვენახეთ, იმათ ჩვენებისთვის ეამბნათ, და ჩვენებსაც ყოველ მხარეს ტელეგრამმები გაეგზავნათ, რომ შეგვაჩერონ და ისევ სახლში დაგვაბრუნონ. საღამოს ექვსს საათზედ მოვედით ერთ სტანციაში, სადაც ის იყო, ჩვენზედ ტელეგრამმა მოსულიყო. ჩვენს იღბალზედ ეს ტელეგრამმა მიელო ვასოს ნაამხანაგარს ტელეგრაფისტს, რომელსაც ჯერ არავისთვის არ ეჩვენებინა. თითქო განგებაც გვიწყობდა ხელს. შემოვარდა ეს ყმაწვილი ვაგონში, ჯერ მიესალმა ვასოს, მერე მოკლედ უთხრა:

—ზარჩევ, ძმაო, რკინის გზით აღარ წახვიდეთ და დრომდის აქ სადმე სოფელში მიიმალოთ, ვიდრე თქვენს წამოსვლაზედ ხმა მიწყდება, თორემ ტელეგრამმები მოგვივიდა და მალე შეგაჩერებენ. მე ამას გეუბნები, როგორც შენი ერთგული ამხანაგი. მე შემიძლიან, პოეზდის წასვლამდის არაფის ვაჩვენო, მაგრამ ხომ მეორე სტანციაში უნდა მივწერო, და მეორემ კიდევ მესამეში; აწში მაინც შეგაჩერებენ. ჩვენ დაუჯერეთ და გამოვედით ვაგონიდგან. ვასოს ამხანაგმა გვასწავლა ერთი სოფელი და იმ სოფელში ერთი ღვთისნიერი მღვდელი, რომელთანაც თავი უნდა შეგვეფარებინა, დაგვიჭირა ურემი და გავწიეთ იმ სოფლისკენ. მაგრამ ხშირად სიკეთე კაცს ცეცხლად ექცევა ხოლმე.

დავიძარით თუ არა და, დაუშო საშინელმა შხაპუნა წვიმამ; ღამეც ძალიან ბნელი იყო და რამდენსამე ალაგს გუბეებში ჩავცვივდით. საშინლად დავსველდით, სიცივისგან ვკანკალებდით. ვასომ თავის პალტო მე წამომასხა და თითონ კი საცოდავს კბილს კბილზედ აცემინებდა! ბევრი ვემუდარე, მაგრამ პალტო აღარ გამომართო, სხვაც თბილი არა გვქონდა რა; ძალიან შესცივდა ჩემს ვასოს. როგორც იყო, მივატანეთ მღვდლის სახლს; იმან კარგად მიგვიღო, იმ წამსვე ტანისამოსი გამოგვაცვლევინა და თბილად და რბილად დაგვიგო. იმ ღამეს ვასოს საშინელი სიცხე მისცა, დილამდის სულ იკვნესა; მეც, როგორც ეხლა, ისე არა მძინებია. დილით მღვდელმა მოგვიკითხა, მე ვასოს შეუძლებლობა ვუთხარი. დიდი ღვთის ნიერი და პატიოსანი კაცი იყო ჩვენი მასპინძელი მღვდელი,—იმ წამსვე ექიმზედ აფრინა კაცი, სანამ თითონ შინაურობაში დაფაცურდა, სხვა-და-სხვა გასაგრილებელ წამლებს არზადებდა. მისი კეთილ-სათნოიანი ცოლშვილი თითქმის თავს გვევლებოდა. მე სულ გიჟივით ვიყავი. ექიმის წამლებმა ვერა უშველეს-რა; დავიბარე მეორე, მესამე, რაც კი ფული მქონდა, რა დღისთვის დავზოგავდი, მაგრამ ამაოდ: ჩემი ვასო ჩაწვა და ჩაწვა ლოგინში! სიცხე უფრო და უფრო უმატებდა, საშინლად იყო გაცივებული! ბევრი ვეცადე, ბევრი თავი ქვას ვახალე, ბევრი ღამეები გავათიე იმის თავით, მაგრამ არა მეშველა-რა მე უბედურს: სწორედ მერვე დღეს ჩემი ვასო შვალმა მიიბარა!..

ამ სიტყვებზედ ამოუჯდა გული, ბოღმა მოაწვა, თვალებიდგან მარგალიტის ნაკადი წასკდა, სულ ნთქვა შეეკრა და გული წაუვიდა. საჩქაროდ წყალი გამოვარბენინე, თავ-პირზედ ვასხი, უნიავე და როგორც იყო, ცოტა ხნის შემდეგ დამშვიდდა, გული მოიბრუნა, ჩქარ ფშვინვას მოჰყვა და შემდეგ საზარელის ხმით ამოიკვნესა:

—ნეტავ თუ ქვეყანაზედ დაიბადება ჩემისთანა უბედური ადამიანიო და მოჰყვა ქვითინს. მეც ველარ შევიმაგრე თავი და ცრემლები ლაპა-ლუპით ჩამომცვივდა. კარგა ხანს იტირა, მერე აიხედა მაღლა, მძიმედ ამოიოხრა და თვალების წმენდით მითხრა:

—აი ეს იყო მიზეზი თქვენს დანახვაზედ რომ შევკივლეო. სიზმარში ვასო მომეჩვენა და რომ გამოვიღვიძე და ჩემს ოთახში გიმნაზისტის ტანისამოსით დაგინახე, ელდა მეცა, გონზე ვერ მოვედი და შევკივლეო.

მე მაინც მინდოდა გამეგო, როგორ მოხდა ის ამ მხარეს და განმეორებით ვკითხე: მერე აქ რამ მოგიყვანათ მეთქი?

—იმისაც გეტყვი, მითხრა კატომ. მესამე დღეს დიდის პატივით თავის ხარჯზედ დაასაფლავა მღვდელმა ჩემი

*) იხ. „დროება", № 170.

წმუნოებისათვის ურიცხვმა ხალხმა აღმოაჩინა, ჩაენერგება მის გულში უდიდესი პატივი, და სიყვარული ქრისტესი. ამის შემდგომ ამ სიყვარულის ამოსაფხვრელად რჯანის ნაწერებს აღარა აქვსთ გავლენა; მათი მოქმედება სუსტია.

ერთხელვე ერთ იდეას, ანუ რომელიმე გრძნობას, თუ სიყრმაწვილიდგანვე გაუდგამს მაგრად ფესვები კაცის გულში, შეურყეველი და მკვიდრია. იშვიათად მოხდება მათი გაწყალება და თუ მოხდა, ამის მიზეზია ის, რომ მათ არ ჰქონიათ მკვიდრი ნიადაგი, აღზრდით არ ყოფილან მაგრად დამკვიდრებულნი კაცის გულში.

ამ აზრით არის ნათქვამი: ისტორია იხსნის ქრისტეს სარწმუნოებას განხრწნილობისაგანაო.

ჩვენც ამ გვარად უნდა ვსთქვათ სამშობლოს ისტორიაზედ: სამშობლოს ისტორია იხსნის სამშობლოს განხრწნილობისაგან. როგორც სამღვთო ისტორია საჭიროა სარწმუნოებაში გასამტკიცებლად, სამშობლოს ისტორიაც საჭიროა მამულის სიყვარულის გასალუებლად.

როგორ და რა ნაირად—ეს ცოტაოდენ გონება გახსნილ კაცს ძრიელ კარგად ესმის. კაცმა დაინახა თავის წარსული, წარსული მშვენიერებით შემკული, სადაც მამაცნი წინაპარნი ღვრიდნენ სისხლს მამულის დასაცველად. მაშინ მამული სამღვთო საგნად იხატება კაცის გონებაში და მის გულში იბადება კავშირიევი თავ მოყვარეობა, რომ ის ყოფილა შვილი გმირთა წინაპართა. ეს თავ-მოყვარეობა ერთად სამღვთო საგნად წარმოდგენილ მამულთან უნერგავს კაცს მამულის სიყვარულს და თვის ბუნებით მიდრეკილებას მამულისაში აგვირგვინებს ზნეობით მიდრეკილებითაც. კაცი ბუნებით და ზნეობით დაკავშირებული სამშობლოსთან—აი რა გახლავს მამულის მოყვარეობა.

რაღა ეჭვი უნდა, რომ სამშობლოს ისტორიას დედა-ენასთან ერთად უნდა ეჭიროს ჯეროვანი ადგილი ჩვენ სასწავლებლებში. ჯერ-ჯერობით ამას მოკლებული ვართ. ქართული ენის მასწავლებლები რამოცენიმე გაკვეთილებით მაჩანჩალობენ საშუალო-სასწავლებლებში; საოსტატო სემინარებში კი ქართული ენა შერცხულია შტატის ადგილზედ.

ამ გარემოებითაც მასწავლებელს ადვილად შეუძლია გააცნოს მოწაფეებს თავის სამშობლო ქვეყანას და თავის წარსულ ცხოვრებას. თუმცა ჩვენ არა გვაქვს დღემდინ სისტემატიურად დამუშავებული ისტორია, არა გვაქვს ეგრეთვე სახელმძღვანელოები ისტორიისა. მაგრამ იმ ისტორიის მასალებით, რომელნიც ჩვენ ლიტერატურაში სხვა-და-სხვა დროს შეგროვილია, შრომის-მოყვარე მასწავლებელს შეუძლია გაიაროს ეპიზოდიური კურსი ისტორიისა. ეპიზოდიური კურსის გასასვლელად ცოტა გაკვეთილებიც საკმაოა, მაშინ როცა სისტემატიური კურსისათვის, თუ გინდ რომ კიდეც გვქონდეს, ის მცირედი გაკვეთილები რომელნიც დღეს დანიშნულია ქართულის ენისათვის საშუალო-სასწავლებლებში, სრულიად არ არის საკმარისი.

ეპიზოდიურ კურსს სისტემატიურზედ არა ნაკლები ნაყოფი შეუძლია მოუტანოს მოწ[illegible] ეპიზოდიურს კურს უფრო შეიძლება მეტი სიცოცხლე მისცეს მასწავლებელმა, ვინემ სისტემატიურს. როგორც რუსეთში, ეგრეთვე ევროპაშიაც შენიშნულია, რომ ეპიზოდიურად გავლა ისტორიისა უფრო მოხერხებულია და ყმაწვილებისთვის უფრო ადვილია და სასიამოვნო.

ვისწავლოთ სამშობლოს ისტორია. წარსულმა დაგვიმშვიდოს ჩვენი აწმყო სევდიანი გული და აწმყომ მისცეს სინათლე ჩვენს მომავალს ბედს.....

ალ. აკოფაშვილი.

ქუთაისი, 14 მარიამობისთვეს.

## დღიური

ჩვენი გაზეთის მკითხველს უკვე ეცოდინება, რომ 13-ს ამ თვეს ულმობელმა სიკვდილმა კიდე წარიტაცა ერთი საქართველოს კუთხის მთავართა სახლის წარმომადგენელი დედოფალი ეკატერინე ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული დადიანისა, რომლის დასაფლავება 21-ს ამ თვეს იქნება მარტვილის სობოროში.

დაწვრილებით ცხოვრების აღწერას ამ გვამისას ჯერ არ შევუდგებით, რადგანაც ამისთვის ჯერჯერობით საკმაო მასალები არა გვაქვს. ცოტას ხანში, იმედი გვაქვს, უფრო დაწვრილებით გავაცნოთ ჩვენი მკითხველი ახლად მიცვალებულ მთავრინა ეკატერინას ცხოვრებას. ახლა მხოლოდ შემოკლებით მოვიხსენიებთ:

მთავრინა ეკატერინე დაიბადა 1817 წელს თავის მამის ალექსანდრე გარსევანის-ძის ჭავჭავაძის სასახლეში ტფილისში. 1838 წ. ის შეიქმნა მეუღლე სამეგრელოს მთავრის დავით ლევანის-ძის დადიანისა. 1853 წ. გარდაიცვალა მთავარი და დარჩა ქვრივად ოთხის მცირე წლოვანის შვილებით.

მთავრის გარდაცვალების შემდეგ რუს-ხელმწიფის ნება დართვით, ეკატერინემ მიიღო, სანამ მისი უფროსი შვილი ნიკოლოზი სრული წლოვანი შეიქნებოდა, სამეგრელოს სამთავრო საქმეების გამგებლობა. და ომარ-ფაშეს შემოსვლის და სამეგრელოს არეულობის შემდეგ 1854 წ., მთავრინა მიიწვია იმპერატორმა ნიკოლოზმა პეტერბურღში სამუდამო საცხოვრებლად. 1861 წ. გარდასახლდა სამზღვარ გარედ საცხოვრებლად. 1867 წ. 4-ს იანვარს მთავრინამ გარდასცა თვისი უფლება მმართველისა უკვე სრულ წლოვან შვილს ნიკოლოზს და იმავე წელს დაბრუნდა უკანვე საქართველოში, სადაც თავის მშვენიერ მოწყობილ სასახლეში, ზუგდიდში დამყარდა სამუდამო საცხოვრებლად.

ჩვენ იმედი გვაქვს, როგორც ზევით მოვიხსენეთ, უფრო დაწვრილებით გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს, რა მნიშვნელობა ჰქონდა დედოფალ ეკატერინეს სამეგრელოს სამთავრო სახლის უფრო მკვიდრ ნიადაგზედ დადგენისა, მაშინ, როდესაც სხვა ამგვარი სამთავროები, თავის დღევანდელ წარმომადგენლებით დღეს თითქმის მიწასთან გასწორებულნი არიან ძლიერის ხელით.

* * *

ჩვენ მივიღეთ ერთი პატივცემულის პირისაგან შემდეგი შენიშვნა გაზეთში დასაბეჭდად: „ამ დღეებში მე მომიხდა გასეირნება მართლ-მადიდებელთა სასაფლაოსაკენ, რომელიც სტრელკოვის კაზარმების უკან იმყოფება და ვერ წარმოიდგინეთ რა სურათი

---

ვასო, მთელი სოფელი მოწვეული ჰყავნდა. დავრჩი მარტო! რას ვიზამდი უპატრონო, გზა დაკარგული, უალაგო?! ვსტიროდი და თავში ვიცემდი; ჩემზე ნაკლებ არც მღვდლის ოჯახობა სწუხდა. ოჰ, ღმერთო, რა კეთილი და პატიოსანი ხალხი იყო! მას შემდეგ ერთი კვირა კიდევ დავრჩი იმ ოჯახში. ღამით გავიპარებოდი ჩემი ვასოს საფლავზედ, ჩავსტიროდი, თავს ქვას ვახლიდი და წამოვიდოდი. რამდენჯერმე საფლავზედ მძინარეც მიპოვნეს და შინ წამომიყვანეს, მაგრამ რაღას ვუშველიდი! მე მეგონა, მწუხარება თან ვადამიტანს მეთქი, იქნება იმისავე საფლავზედ გავცივდე და ჩემი ვასოს გზას გამოვუდგე მეთქი, მაგრამ განგებას არ უნდოდა ეკმარებინა ჩემთვის ეს ტანჯვა.

ერთი კვირის შემდეგ მღვდელმა დამიწყო ხვეწნა და მუდარება, რომ ჩემს მშობლებთან დავბრუნებულვიყავი; ამაზედ მე დიდ უარს ვამბობდი: სიკვდილი მერჩივნა შინ დაბრუნებას! ან რაღა პირით უნდა დავბრუნებულვიყავი? ბევრჯელ მეტყოდა პატიოსანი მოძღვარი: „წავიდეთ, შვილო, შენს დედმამასთან, მეც წამოგყვები; შენ, თუ გინდა, ხმასაც ნუ ამოიღებ, შენს მაგივრად მე შევსთხოვ მათ შენდობას და მოტევებას". მაგრამ მე იმისი რჩევისა არა მესმოდა-რა.

ორი კვირის შემდეგ ვსთხოვე, რომ მოეღო ჩემზედ უკანასკნელი წყალობა და გაეტანებინე ვისმესთვის ქავკავს, რომელიც ამ სოფლიდგან ძალიან შორს არ იყო და საიდანაც ტფილისს წასვლას ვაპირებდი. ვფიქრობდი: სადმე პატიოსან ოჯახში შევალ ბოვშების მასწავლებლად, ან საკუთრად ავიყვან ბოვშებს მეთქი და ვასწავლი, სხვა არა იყოს რა, ჭრა-და კერვა ხომ მაინც ვიცი მეთქი. მე მინდოდა, პატიოსანის შრომით ლუკმა მეშოვნა, ვიდრე ჩემი მწარე დღენი შემოკლდებოდნენ. მღვდელმა ბევრი კარგი რამ მირჩია და რომ ვერა გააწყო-რა, დამლოცა საგძალი მომცა, ბიჭი გამომატანა და გამომისტუმრა, როგორც ვსთხოვდი, ქავკავს. მე მაშინ ჯიბეში თხუთმეტ თუმნამდის მქონდა. ბიჭმა მომიყვანა ღვდლისაგან ნაჩვენებ სასტუმროში და დამაყენა. მეორე დღეს მგზავრი ვერ ვიშოვე. მესამე დღეს მგზავრიც ვიშოვე, ეკიპაჟიც, მაგრამ ჩემს დამწვარს იღბალზედ ფული ვიღაცამ ამაცალა სტოლიდგან! დამრჩა ჯიბეში ერთი თუმანი, რომლითაც სასტუმროში უნდა გავსწორებოდი და წამოვსულიყავი კიდეც. სასტუმროში შვიდი მანეთი გამომართვეს, და აბა სამ მანეთად რას ვიზამდი! წყეულ ფურგუნის დასაქირავებლად. იმათ სამი მანეთი ბეთა მთხოვეს. ეს ფულიც რომ იმათთვის მიმეცა, მე რიღათი შევრჩინა თავი! დავიწყე ყოყმობა და მწარედ ფიქრი. ვუთხარი, ქალაქში რომ ჩავალთ, ნათესავებს გამოვართმევ და მოგცემთ-მეთქი, ეხლა საკმაოდ არა მაქვს-მეთქი; ისინი მაინც არ დასთანხმდენ. იმავე ფურგუნით მოდიოდა ერთი სომეხი, რომელმაც ჩემი ლაპარაკი გაიგონა და მითხრა: აი ოც-და-ხუთი მანეთი. თუმცა მეც ძალიან მიჭირს, მაგრამ არა უშავს-რაო. ამ ფულს მოგცემ იმ პირობით, რომ, ქალაქში რომ ჩავალთ, ოც-და-ხუთს მანეთში სამი თუმანი უნდა მომცეო. აბა სხვა რა გზა მქონდა დავეთანხმე. იქვე ბარათი დასწერა და ხელი მომაწერინა.

მოვედით ტფილისშიაც. ამ სომეხმა დამიწყო ფულის თხოვნა. ვინ მომცემდა იმ წამს სამ თუმანს, რომ ერთ კაცსაც არ ვიცნობდი. დავუწყე ხვეწნა, დაეცადა სანამ ალაგს ვიშოვიდი და პატიოსანი სიტყვა მივეცი, რომ წინადვე ავიღებდი ჯამაგირს და მივსცემდი. რომ გაიგო, რომ ტფილისში ნაცნობიც არავინა მყავს, უფრო თავს გამოიდო და თავის სამი თუმანი ათ თუმნად აქცია, მოწმად მეფურგუნე ჰყვანდა. ასი თუმანიც რომ ეთქვა, როგორ გავამტყუნებდი, ან ვინა მყვდა დამხმარებელი მე ოხერს უცხო ქვეყანაში!—ან ეხლავე ათი თუმანი მომეცი ან არა და უნდა გაგყიდოვო. ვინ იცის ეს ურჯულო, ვის მიმყიდდა, აბა რა ძალა შემეძლო. ბოლოს ვსთხოვე, ჩემ უცნობ ქალაქში რამე სამკერვალო მაინც ეჩვენებინა, რომ ფული მეშოვნა. იმან მიმიყვანა ერთ ნემეცთანა, რომელსაც ბევრი მკერვალი ქალები ჰყვანდა, უთხრა, რომ მე ხამი ვარ და საქმეს ვეძებ, ამასთანავე ამისი ათი თუმანი მმართებს! მეც ჩემი გაჭირება შევჩივლე; ნემეცმა ერთი კი შემომხედა და იმ წამსვე არლო და იმ ურჯულო სომეხს ათი თუმანი მისცა. მე დავრჩი ამ ნემეცის ოჯახში, ცოლშვილში. მალე, სულ კი არა, და დაახლოვებით ჩემი გარემოება შეიტყო. დიდი პატივის-მცემელი იყო ეს ოჯახი ჩემი. მე მოჯამაგირე მკერვალი კი არა, სახლის შვილად ვითვლებოდი, ისე შემიყვარეს დიდმა და პატარამ. მაგრამ ჩემ იღბალზედ ისინი ორი

...ამოუდგა ჩემს თვალებსა. შეუ...მავს და არხ შემოუვლებელ სა...ოზედ თავისუფლად დასეირნობ...ნენ სხვა-და-სხვა პირუტყვები რო...მელნიც მეტის გულს მოდგენით ...ნიდნენ სასაფლაოებსა.

...ნუ თუ არ შეიძლებაო, გვეკითხე...ა მნახველი, რომ თუ კედელი არა ...ხი მაინც შემოევლოს გარშემო ...სასაფლაოსაო, გაკეთდეს ბილიკები, ...რომ კაცმა, საჩამ მიცვალებულს საფ...ლავამდის მიასვენებდეს, კისერი არ ...მოიტეხოს საფლავებზედ სიარული...თ; ნუ თუ ძნელიაო, რომ დაირ...ოს აქვე ხეები, ერთის სიტყვით, გა...კეთდეს ისე, როგორც ყოველს რი...გიანად განწყობილ ქალაქებში არის ...სასაფლაოებიო?

...სწორედ გასაკვირალია, რომ ვისიც ...ვია არ აქცევენ ამ გარემოებას ყუ...რადღებას. რაც ამ სასაფლაოზედ ერ...თი მუჭა საფლავისათვის ფულები შე...დის, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ...ეს მოთხოვნილება ხალხისა ...დაკმაყოფილოს, რომ კაცი იყოს ...მე და ამ შემოსავალსაც მღვდლებს ...ანთქმევინებდნენ.

* * *

...ჩვეულებრივად მარიამობის წინა ...დღეს (შაბათს 14 მარიამობისთვეს) ...ქალაქის ხალხს დიდი მოძრაობა ჰქონ...და ქუჩებში. წელს შეთხაინის და ...ონის დღეობა და ღამის თევა ერთ ...დღეს იყო. დარი კარგი დადგა. შკვ...ნიერად გაჩირაღდნებული იყო შეთ...ხაინი. ღამის-მთეველები დაირა-ნალა...რით საკმაოდ იყვნენ. მაგრამ ღამის...თევაში მეორე დღეს ანჩისხატმა აჯო...ბა. დაფ-დაირა, დუდუკი, ზურნა, შარ...მანკა, ლეკური, სიმღერა ათ-თხუთმეტ...

ადგილას ჩანდა საყდრის გალავანში და საყდრის უკან მტკვრის პირამდე; მოედანი სავსე იყო მოლხინე ხალხითა.

# უცხოეთი

## ეგვიპტის ამბები

ჯერ-ჯერობით გამარჯვება ინგლისის ჯარებისაკენაა. მუდამ დღეობით ახალი და ახალი ჯარი ემატება ინგლისელებს. ქედივმა ინგლისელების აფიცრებს ჩააბარა უფროსობა მის მოერთგულედ დარჩომილ ეგვიპტელებისა.— ალექსანდრიის სატუსაღოში 18 სამხედრო პირნი და 150 მოქალაქენი არიან დამწყვდეულნიო. მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი დიდს უკმაყოფილებას აცხადებს ინგლისელებზედ. ტუსაღები იძახიან, თუ თავისუფლება მივიღეთ, უარესს დღეს დავაყენებთ ევროპიელებს, ვინემ 11 ივნისს და 11 ივლისს დავაყენეთო.—ინგლისის მხედართ ძრიელ მოსწონთ ეგვიპტელებისაგან ამართული სიმაგრეები. მათის ფიქრით არაბის ჯარში რამოდენიმე უცხოელი (ოსმალეთის) ინჟინერი უნდა ერიოსო. — იბრაგიმ-ფაშა—ქედივის ძმა ინგლისელების წინაშე შუამავლობდა, ალბად ქედივის უცნობრად, რომ ჩემი ძმა, ქედივი, ინგლისის ჯარში დანიშნეთო. ქედივმა უარ-ჰყო ძმის შუამავლობა.— არაბისაგან სირიელების ასაჯანყებლად გაგზავნილი კაცი დაატუსაღეს. —დაატუსაღეს ორი ჯაშუში აგრეთვე არაბი-ფაშისა სტამბოლში.—ბედუინების მოთავედ არაბიმ დანიშნა ახმედ-ბეი-აბაზი ეგვიპტის განათლების მინისტრის ბიძაშვილი.—ბედუინები ბლომად არიან და ხშირის თავდასხმით მოსვენებას არ აძლევენ ინგლისელების ჯარს.—არაბის ჯარი კი სიმაგრეებიდამ არ გამოდიან.—ხონთქარმა, ვითომ უკანასკნელად, მისწერა არაბის დამშვიდდეს და თავის მომხრეებით ვაიდეს ეგვიპტიდამ, წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისელებთან ერთად იმოქმედებს ოსმალეთის ჯარიც მის წინააღმდეგ.—თუ რამდენად ეშინიან არაბის ამ მუქარისა, იქიდამ ვხედავთ, რომ ფეხსაც არ იცვლის ის ეგვიპტიდამ და ახალ-ახალ სიმაგრეებსაც აგებს.—შესანიშნავ ყოჩაღად მოქმედებენ არაბების ცხენოსანი ჯარი არაბი-ფაშისა.— არაბისთან საიდუმლო მიწერ-მოწერისთვის დატუსაღებული პირი აღმოჩნდა ხანავ-ეფფენდი, უფროსი დირექტორი რკინის გზებისა.—პორტასაგან ოფფიციალური ცნობით სასტიკად აკრძალულ იქმნა ოსმალეთში ჯარების მოკრება ეგვიპტელების დასახმარებლად. მოწინააღმდეგეთ სასჯელი მოელისთ.—სამხედრო კონვენციის შესახებ პორტა ითხოვს, რომ ინგლისმა არ განსაზღვროს ოსმალეთის ჯარი, რომ ეს ჯარი ალექსანდრიაში გამოვიდეს და არა აბუკირში, რომ ომი მაშინ შესწყდეს, როდესაც ოსმალეთი მოითხოვს და რომ მოქმედებით საერთოდ იმოქმედონ ინგლისისა და ოსმალეთის ჯარებმა. ზოგ ამ წინადადებაზე მცხარე უარი-ჰყო ინგლისმა. ოსმალეთის უფროსობას მხოლოდ სახელი აქვს ეგვიპტეშიო, ნამდვილი უფროსობა კი ჩვენს (ინგლისელების) ხელშიაო. ფრანც. გაზ.: „Temps"-ი აძლევს უპირატესობას ინგლისის მალას ზღვაში სხვა სახელმციფოების წინაშე და ამბობს სხვათა შორის: „ინგლისი არის და დარჩება კიდეც სუეზის არხის ბატონად, რადგანაც ყველას დაჰძლევს, ვინც ამ არხის დახურვას მოინდომებს. ინგლისის მფარველობის ქვეშ ეს არხი თავისეულად იქნება დაცული. ამიტომაც კონფერენციამ, შეიბრალოს ქადალდიც და მელანიც და პროტოკოლსაც ნუ შეადგენს სუეზის არხის დაცვაზედ და ყველა სახელმწიფოთათვის თავისუფლად ხმარებაზედ".

არა ერთხელ იყო მოხსენებული, რა ენერგიულად ეწინააღმდეგებოდა ფერდ. ლესსეპსი სუეზის არხის დაჭერას ინგლისელებისაგან და ამ არხის ყველა სახელმწიფოთაგან თავისუფლად ხმარებას მოსპობას. ამის თაობაზედ ლესსეპსმა მოსწერა თავის მეუღლეს: „დღითი-დღე უფრო და უფრო ძალობენ პირატული (ბარბაროსული) მოქმედებით დაარღვიონ არხის ნეიტრალიტეტი. ჯერ მედგრად და მშვიდობიანად ვეწინააღმდეგებით ჩვენ".—გრაფინიამ, ლესსეპსის მეუღლემ, მისწერა ერთ ინგლისურ გაზეთ „Observer"-ს შემდეგი წერილი.

„საფრანგეთის გაზეთებმა გათარგმნეს თქვენი ჟურნალის ერთი წერილი, საიდამაც სჩანს, რომ ბ. დე-ლესსეპსი აიწროებს თქვენს მზაკვრულ მოქმედებას ეგვიპტეში და ამისათვის ურჩევთ ინგლისის მმართებლობას დასვანის, (ლესსეპსი) ერთ მარსელისაკენ მომცურავ გემზედ.

„ესე გახლდეთ, მაგრამ მე გიწვევთ თითონ თქვენ, პირადად, მიბრძანდეთ და აღასრულეთ ეს თქვენი წინადადება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ღირსეულად დაგიხვდებიან იქ თქვენ.

„დავძენ, რომ თუმცა მე დავიბადე ერთ ინგლისის მხარეთაგანში, მაგ...

---

...ის შემდეგ თავის ქვეყანაში წავიდ...ნ და მე, როგორც იმათ მითხრეს, ...ანთ დიდ მეგობართან გამომგზავ...ს. მას აქედ აქა ვარ. ღვთის წინა...ესენიც დიდად პატიოსანი ხალხია ...მშობლიურად მეკიდებიან, მთელი ...ბი ჩემს ხელში და ჩემს ნებაზედ ...ს. აი როგორ მოვხვდი ამ ალაგს.

—ახლა რას ჰფიქრობთ თქვენის ...ისას? ვკითხე მე.

—თქვენ თითონ მითხარით, რა ...ვიფიქრო? სთქვა გულ-დაწყვე...—აი როგორც მხედავ, ასე უნ...გავატარო ჩემი დღენი, ვიდრე ...ლო მეღირსება...

...მისმა საზარელმა თავს გადასავალმა ...ო შემაბრალა ეს კეთილი გო...ი ქალი. ვფიქრობდი, რა ბოლო ...ჰქონიყო მისს უნუგეშო სი...ცხლეს! გული მიდუღდა, ვიტან...ი საცოდაობით, რომ ამ წამსვე ...შემეძლო მისი შველა, თუმცა მო...ზედ მტკიცედ ვიყავი: მე ის სა...ოდ არ მიყვარდა! მიყვარდა გა...ბით, სულით და გულით!

...ერი აღარ ვიფიქრე, ხელი და...რე, თვალებში შევაშტერდი და ...: ქატო! ნება მომეცი, თუ ...ლა ჩემი ნდობა გაქვს, როგორ...თქვი, რომ ვიკისრო შენი კეთილ-დღეობა, ვიყო შენი მოსარჩლე და მფარველი დღეიდგან, შევაერთო ჩემი სიცოცხლე შენს სიცოცხლესთან!

— აბა, ყმაწვილო, დაიწყო ქატომ, როგორ უნდა შეაერთო შენი სიცოცხლე ჩემ სიცოცხლესთან? ჩვენ არა ვართ არც ტოლნი და არც ერთმანეთის საკადრისნი: შენა ხარ ყმაწვილი კაცი, რომელმაც მხოლოდ ეხლა გამოჰყავ ცხოვრებაში თავი; შენ ჯერ კიდევ ნამდვილი ყმაწვილი ხარ, გამოუცდელი, ადვილად მიმნდობი, სოფლის ბრუნვისაგან გაუთელელი. დიდი მომავალი მოგიძღვის წინ: ეძებ სიამოვნებას, ბედნიერებას, სიცოცხლის სიტკბოებას და ყველაზედ უდიდესს, როგორც მითხარი—უმაღლესს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას, რომლითაც გსურს განახორციელო შენი უდიდესი და უაღრესი მიზანი: რომ შენს ქვეყანას, შენს ხალხს, შენს ენას, შენს საყვარელს მამულს სარგებლობა მოუტანო რამე; მოსწმინდო ტანჯვის ცრემლნი და წყლულზედ მალამოთ დაადო, რომ შენმა მომავალმა ოდესმე ნეტარ-ხსენებით მოგიგონოს: კაცი ყოფილა და მამულის-შვილის სახელი ღირსებიაო!.. არა, ჩემო ვასო, ამ მიზნით და ამ წმინდა გზაზედ დამდგარ და მიმავალს მე უძლური ადამიანი ტვირთად როგორ ავეკიდები! შეიძლება, ჩემის გადაკიდებით იმან კეთილს აღნიშნულ გზას გადაუხვიოს! მერე ეს მადლი იქმნება?! განა მე ჩემი ხელის და ხორცის უძლურებაც არ მეყოფა, რომ სხვის ცოდვაც კისერზედ არ ავიკიდო?!.. მე შემეძლო როდესმე კარგი მეგობრობა გამეწია შენთვის, როდესაც შენებრ თავით ფეხამდის ვდუღდი; შემეძლო, კარგი მრჩეველი და წამქეზებელი სიცოცხლის თანამოგზაური ვყოფილიყავი შენთვის, როდესაც ეს გული შენსავით სიცოცხლეს ეძებდა. ეხლა, ჩემო ვასო, არამც თუ გული, მე მგონია, რომ ხნიერებითაც აღარა ვარ შენი ტოლი, თუმცა ერთის წლისანი ვართ. მე მოვკლე ჩემი სიცოცხლე, ჩემი სიამოვნება, ჩემი ყმაწვილ ქალობა: სულის უძლურება თურმე ხორცის უძლურებაზედ უფრო დამნაცრებელი ყოფილა კაცისა! აბა შენ იფიქრე: მე გულით მოხუცმა და ძალით გადახწნეულმა რა მეგობრობა უნდა გაგიწიო შენ, ახლად გაფურჩქვნილ-გარდაშლილს, ყვავილოვან ჭაბუკს, რომელიც ქვეყნის მფლობელად ჰგრძნობ თავს, ვიდრე სიცოცხლის ბადეში გაეხვევი. არა, ვასო, მე ვერ მოგაკლებ შენ შენს ბედნიერ მიზანს და არც მივიღებ შენგან ჩემთვის თავგანწირვას! ბედნიერს ეტლზედა ხარ დაბადებული, დაადექ და მიჰყე შენგან კეთილ გონივრულად აღნიშნულს გზას. მარადის პატივის-მცემელი ვიქნები შენი და მხურვალე გულით ვილოცავ შენის ბედნიერებისათვის, რადგანაც ამ ჩემს დამწვარს დღეში გპოვე ისეთი კაცი, რომელსაცა აქვს შეწყალება და შებრალება ჩემისთანა გზა დაკარგულის უპატრონო ოხრისა.

ქატომ თავი ველარ შეიკავა და ცრემლნი უმანკოებისა წარმოსცვივდნენ თვალთაგან. მე უარესად აღმძრა ამ გულ-წრფელმა ლაპარაკმა, ტანში ჟრიალი დამაწყებინა ამ უმანკო ქმნილების უბედობაზედ ჩივილმა და შორს გამიტაცეს ფიქრებმა. ცოტას ხანს დადუმებულნი ვიყავით...

ნ.

(შემდეგი იქნება)

რამ ფეხით ემურაჯ ამ ხალხისნაბას, იმ მხარეს წყალობით, რომელიც უსინდისო საშუალებით სცდილობს დაასაკუთროს ის, რაც მას არ ეკუთვნის. „მიიღეთ, მოწ. ხელ., რწმუნება ჩემგან თქვენდამი ღირსეულ პატივისცემისა“.

## ტფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარეგანი და დისიფილისი—შინაგან ავათმყოფობისას; კბილები სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისას; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისას; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მანკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისას; დისიფილისი—შინაგან ავათმყოფობისას; კბილები—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისას; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისას; ბაბაევი და დანილ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** დისიფილისი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისას; კბილები—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისას; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისას; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** დისიფილისი—შინაგან ავათმყოფობისას; კბილები—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისას; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისას; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მანკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისას; დისიფილისი, მირიმანოვი და დანილ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისას; კბილები—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისას; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისას; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** დისიფილისი—შინაგან ავათმყოფობისას; კბილები—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისას; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისას; ბაბაევი—ძარღ. სისუსტის ავათმყოფობისა."

# განცხადებანი

ვიღებ მოსამზადებლად, ჩემს ხარჯზედ პირველის და მეორე კლასების შაგირდებს. დაწვრილებითი პირობების შეტყობისთვის ვითხოვ მიმართოთ ლაბარტორიის და ჭავჭავაძის ქუჩებ შუა, სახლში № 57. (3—1)

ნაფიცი ვექილი
სერგეი ვასილის ძე
## ჩემესოვი
გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე ბატბელოის სახლებში (6—2)

მოსეს ვართანიანცის
## სტამბაში
მიღებულია ახალი რუსული, სომხური და ბევრი სხვა ენების შრიფტი. სხვათა შორის მიღებულია ქართული შრიფტიც.
მიიღება ყოველ გვარი შეკვეთა—ბეჭდვა წიგნებისა ჟურნალ-გაზეთებისა და სხვ. (5—3)

დაიბეჭდა და ისყიდება
## ქარამანიანი
მეთხუთმეტე ნაწილი
მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქოვის სტამბაში ბატონ ნიკოლოზ კობალაშვილთან.

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ
## ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ
Издаваемый въ г. Тифлисѣ
(годъ второй)

Открыта полугодовая подписка на журналъ съ 1 Іюля 1882 г. по 1 января 1883 года.

Цѣна за полгода 6 руб.

Кромѣ того можно подписатьса на 3 м-ца 3 р. 20 к. на 1 м-цъ 1 р. 20 к. Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ мѣсяцъ еще 3 руб.

Подписка принимается въ г. Тифлисѣ въ Администраціи журнала, Сололакскаа улица д. № 10 и въ Москвѣ и вь С.-Петербургѣ въ книжныхъ магазинахъ И. И. Анисимова. (6—5)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** ბარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—99)

ხაალი ქართული
## ქარაბადინი
ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.
**ფასი ყდიანის ერთი მანეთი.**

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:
წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
## სახსოვარი
ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე
შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი სუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი
## მოთხრობანი
წიგნი მეორე.
ი ყიდება **ტფილისში:** შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).
**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.
**გორში:** მ. პეტრიელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი
## მწყემსის სტვირი
**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**
ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად
ალაიანცისა
გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.
ფასი ერთი აბაზი (10—6)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
**მამულის**
საერთო მფლობელობაზე
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში
## იგავ-არაკნი
კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუისგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

**ისყიდება**
თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლადგამოსული რუსულს ენაზე წიგნი.
**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**
**сост. Д. П. Пурцеладзе.**
ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.
ფასი ერთი მანეთი

**ტაქსის**
საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც ისყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 16 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდის.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილი | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

გამოვიდა ცალკე წიგნად
დრამა
# სამშობლო!
**ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.**
ფასი 60 კაპ. (20—16)

**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

**ბუნების კარი,** ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ბაღის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და მყიდველებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარსა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი,** მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Августа 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხ